№559 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია (ს/კ: №204892152) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და ა(ა)იპ - საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნულ ფედერაციას შორის 2012 წლის 19 მარტს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების 2.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილებით შესრულებისათვის ამავე ხელშეკრულების 3.4 მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**